პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 211 (13296) | სამშაბათი, 7 სექტემბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

დიდგა ჩაის კრეფის გაძლიერებული დღეები!

1965 წლის 5 სექტემბრისათვის მოკრეფილი იყო

162.119 ტონა ჩაის ფოთოლი, ანუ წლიური გეგმის 87,6 პროცენტი

ვალდებულების შესასრულებლად უნდა მოიკრიფოს კიდევ

37.881 ტონა „მწვანე ოქრო“.

მთელი ძალები ჩაის ფრონტზე!

200.000 ტონა ჩაისაკრეფელი

თინათინ გულისკერია სახელოდ შრომის გმირი რაიონის სოფელ ოკუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობიდან. ოთხ-ვლელად მიჩენილი 0,8 ჰექტარი პლანტაცია წელს მან საგულდაგულოდ დაამუშავა და შრომაც დაუფასდა.

გეგმით ამ ნაკვეთზე 2.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი უნდა მიეღო. მაგრამ ბეჯითმა გოგონამ უოველდღიური განუწყვეტელი კრეფით წარმატება მოიპოვა. დღეისათვის მან 3.200 კილოგრამზე მეტი „მწვანე ოქრო“ მოკრიფა, რაც ნაკისრ ვალდებულებასაც ალემატება.

მოწინავე მეჩაიე კვლავ განგარძობს ჩაის ფოთლის კრეფას.

ფოტო გ. გოგობიასი.

ხაგუმელთა წარმატება

— **ჩხოროწყუს** რაიონში, ხაბუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა ჩაის კრეფის რაიონული გეგმის თანქმის მეშვიდედს კრეფს, — გვატყობინებს ჩხოროწყუს სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი **გ. ცირამუა.** ამ კოლმეურნეობამ უკვე აიღო შვიდწლეულის ზღუდე. 6 სექტემბრისათვის მოკრიფა და ფაბრიკას გადასამუშავებლად ჩაბარა **825 ტონამდე ხარისხოვანი ჩაის ნედლეული ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 820 ტონისა.**

ამ დიდი წარმატების მოპოვებისათვის ენერგიულად იმუშავეს კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე **ი. შენგელია**), პირველადმა პარტორგანიზაციამ (მდივანი **აკ. ვახანია**), სპეციალისტებმა (აგრონომი **შ. შენგელია**). კომუნისტებმა მეტი ჩაისათვის ლაშქრობის წინა ხაზზე იდგნენ.

აღსანიშნავია № 4 კომუნისტური შრომის ბრიგადის (ხელმძღვანელი **ვ. კვირტია**) მუშობა. ბრიგადამ მოკრიფა 198 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 194 ტონისა. ბრიგადამ, რომელსაც **ი. ცირგაია** ხელმძღვანელობს, მოკრიფა 140 ტონა, გეგმა კი 137 ტონის ითვალისწინებდა. მეექვსე ბრიგადამ (ბრიგადირი **ი. წულაია**) გეგმით გათვალისწინებული 87 ტონის ნაცვლად მოკრიფა 88,5 ტონა.

ამ გამარჯვებაში სერიოზული წვლილი შეიტანეს მოწინავე მეჩაიეებმა: **ეთერ ვეკუამ** მოკრიფა 7 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 5 ტონისა. **გოგოშა ყალიჩავას** მოკრეფილი აქვს 5,7 ტონა, ნაცვლად 4,5 ტონისა, ხოლო **ლუცია გორდულაძემ** მოკრიფა 6 ტონაზე მეტი ნაცვლად 4 ტონისა.

ხაბუმელმა მეჩაიეებმა ვადახდეს თავიანთ შესაძლებლობას და გადაწყვიტეს **წინათ ნაკისრი 80 ტონის ნაცვლად წლიური გეგმის გადამატებით მოკრიფონ 100 ტონა „მწვანე ოქრო“.**

გამარჯვების გასაღები თქვენს ხელშია, მეჩაიეებო!

უკანასკნელ წლებში ზედიზედ დიდი წარმატებები მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეებმა. მათ წლიური გეგმის გადამეტებით მისცეს საშშობლოს ათეულ ათასობით ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სწორედ ამ გამარჯვებისათვის დაიმსახურეს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მისალმება, შვიდწლეულის წინა წლებში ადებული ზღუდეები საამაყო და სასიხარულო. მაგრამ ცხოვრება წინ მიდის. მიღწეულით დაკმაყოფილება არ შეიძლება. გუშინ და დღეს რაც გაკეთდა, ხვალისათვის საკმარისი როდია. შრომელთა მუდმივად მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება პირველი რიგის ამოცანაა.

ეს დიდი და პასუხსაგები ამოცანები ნათლად, კონკრეტულად განსაზღვრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადწყვეტილებებმა, რომლებიც საფუძვლად დაედო სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობისათვის ბრძოლას. ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ზრუნვის უდიდესი გამოხატულებაა ისიც, რომ მომავალ ხუთწლედში სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილია რვაასი მილიონი მანეთი, რაც ერთიანად აღემატება ბოლო ხუთი წლის მანძილზე გამოყოფილ თანხებს. ამ თანხის საგრძნობი ნაწილი სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებას მოხმარდება.

ამ დღეებში გამართულ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე საფუძვლიანად იყო გაშუქებული სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარების საკითხები. პლენუმმა სერიოზული ამოცანები დასახა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების წინაშე, რათა ამ საფუძველზე წარმატებით შესრულდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადწყვეტილებანი.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში და, კერძოდ, ჩაის მეურნეობაში მოპოვებული წარმატებები განაპირობა იმან, რომ მარტის პლენუმის შემდეგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პირველადი პარტიული ორგანიზაციები უფრო ბრძოლისუნარიანი გახდნენ.

მეჩაიეობის მთელი რიგი რაიონების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმატებები მნიშვნელოვანწილად განაპირობა მეტი ჩაისათვის პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების ბრძოლის გაძლიერებამ. მიუხედავად იმისა, რომ წელს ჩაისათვის არახელსაყრელი ამინდები იყო, სიძნელეები ბევრგან კარგად დაძლიეს. **ცხაკაიას, წყალტუბოს, ხობის** რაიონების მეჩაიეებმა პირველად უპატაკეს სამშობლოს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმების შესრულება და ახალი ვალდებულებები იკისრეს. ამისათვის ისინი ქების ღირსი არიან. მაგრამ ამ რაიონების მეჩაიეთა ვალი სასახელოდ გაანაღდონ ნაკისრი ვალდებულებანიც.

ორასი ათასი ტონა ჩაისათვის ლაშქრობაში წინა ხაზზე დგანან **აპარელი** მეჩაიეები. მათ წელს გეგმით უნდა მოკრიფონ **30.678** ტონა ჩაის ნედლეული. 5 სექტემბრისათვის მოკრეფილია **28.398** ტონაზე მეტი. კარგად შრომობენ **ბათუმელი** მეჩაიეები, რომლებმაც უნდა მოკრიფონ **8.211** ტონა „მწვანე ოქრო“. ისინი წლიური გეგმის შესრულებას ამ დღეებში უპატაკებენ. ქობულეთლებმაც გაძლიერეს კრეფის ტემპი და მალე გამარჯვებასაც მოიპოვებენ. ვგულისხმობ, რომ აპარელი მეჩაიეები ღირსეულ წვლილს შეიტანენ რესპუბლიკის მეჩაიეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში — **გეგმის გადამეტებით მისცემენ სამშობლოს 2.000 ტონაზე მეტ ჩაის ნედლეულს.** ასევე ახალ წარმატებებს მოველიან **წალენჯიხის, ჩხოროწყუს, წულუკიძის** და სხვა რაიონების, აგრეთვე **ტყიბულელი** მეჩაიეებისაგან.

ყველაფერი ეს კარგია. მაგრამ მოპოვებული წარმატებებით დაკმაყოფილება არ შეიძლება. მით უმეტეს, რომ ორასი ათასი ტონა ჩაისათვის ლაშქრობაში საერთოდ რესპუბლიკაში სახარბიელო მდგომარეობა არ არის. მივმართოთ ციფრებს. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 5 სექტემბრის ცნობებით რესპუბლიკაში მოკრეფილია **162.119** ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის **87,6** პროცენტს შეადგენს. ჩვენმა მეჩაიეებმა გეგმის შესასრულებლად კიდევ უნდა მოკრიფონ **22.800** ტონაზე მეტი, ხოლო ვალდებულების შესრულებისათვის — **37.881** ტონა.

ეს მონაცემები მეტად დამაფიქრებელია. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა მაქსიმალური, ქმედითი ღონისძიებები უნდა განახორციელონ არა მარტო გეგმის, არამედ ნაკისრი ვალდებულების აუცილებლად განაღდებისათვის. უნდა შევაქმნათ ისეთი განწყობილება, რომ მეჩაიეობის ყველა რაიონში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სერიოზულად იფიქრონ მეტი ჩაისათვის ლაშქრობის წარმატებით დაგვირგვინებაზე.

ამისათვის საჭიროა უფრო გაძლიერდეს ორგანიზაციორული მუშობა. **ახლა თვითეული დღე, თვითეული საათი ძვირფასია. ამავე დროს ჩვენმა მეჩაიეებმა შაბათოობით და კვირადღეებში სრული დატვირთვით უნდა იმუშაონ, ყველაფერი უნდა გაკეთონ სეზონის ბოლოამდე დარჩენილ მცირე დროში ჩაის ფრონტზე ბრძოლის მოგებისათვის.**

უნდა მოვაგონოთ თავიანთი პატრიოტული ვალი **მახარაძისა** და **ზუგდიდის** რაიონების მეჩაიეებს, რომლებმაც გადამწყვეტი წვლილი უნდა შეიტანონ რესპუბლიკის მეჩაიეთა გამარჯვებაში. მახარაძელებს 5 სექტემბრისათვის მოკრეფილი აქვთ **30.876** ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული **36.280** ტონისა. ზუგდიდელებმა მოკრიფეს **19.968** ტონა ნაცვლად **23.765** ტონისა. მართალია, ამ რაიონების მეჩაიეებს ძნიმე პირობები შეექმნათ, მაგრამ მათ ასეთი ჩამორჩენა არ შეშვენით! გვჯერა, რომ მახარაძელი და ზუგდიდელი მეჩაიეები საკირო ღონისძიებებს განახორციელებენ და წარმატებას მოიპოვებენ. ასეთივე მოთხოვნები უნდა წაეყენოთ **აფხაზეთის** მეჩაიეებს, რომლებსაც მოკრეფილი აქვთ **23.709** ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად **30.955** ტონისა.

არ უნდა შევურგიდეთ ჩამორჩენას და ისეთ განწყობილებას, როცა ზოგან ამბობენ: **რა მოხდა, გეგმას ცოტა დავაკელით. გეგმა არ შესრულდა!** ან კიდევ ასეთი აზრი: **გეგმა შეასრულეთ. მოვალეობა მოვიხადეთ!** ეს საერთო საქმისათვის დიდად საზიანოა. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობას, ბრიგადასა თუ რგოლს, თვითეულ მეჩაიეს შეუქმნან ისეთი განწყობილება, რომ **მოუკრეფავი არ დარჩეს არც ერთი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.** დავძაბოთ ენერგია, დავრაზმოთ მასები გამარჯვების მოსაპოვებლად. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პატრიოტულ საქმეს აკეთებენ არამეჩაიეობის მთელი რიგი რაიონების მშრომელები, რომლებიც დახმარების ხელს უწვდიან ჩვენს სახელოვან მეჩაიეებს. ასე მოიქცნენ **ქარელის, ამბროლაურის, მცხეთის, გურჯაანის** და ბევრი სხვა რაიონის მშრომელები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების მოსწავლეები. მათ ასობით ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. **ეს ტრადიცია უნდა გაგრძელდეს მეტი ჩაისათვის ბრძოლის ამ გადამწყვეტ დღეებში.**

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეჩაიეთა ამ თავდადებული შრომის დროს უფრო მეტად უნდა ვიზრუნოთ მათი საყოფაცხოვრებო პირობების სანიმუშოდ მოწყობისა და კულტურული მომსახურებისათვის. მეჩაიეებს მინდვრად, ესლანტაციებში არ მოკაკლოთ ყურადღება — მივცეთ ცხელი კერძები და სხვა სურსათი, შევუქმნათ მაღალწყოფიერი შრომის ყველა პირობა.

მეჩაიეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების, ყველა მშრომელის სახელისა და ღირსების საქმეა **მისცეს საშშოგლოს ორასი ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.** რაკი იკისრეს ვალდებულება, იგი უნდა შესრულდეს. **ამხანაგო მეჩაიეებო! საშშოგლო ახალ საგმირო საქმეებს მოელის თქვენგან. გამარჯვების გასაღები თქვენს ხელშია!**

სერგო აფხაზავას რგოლმა წლიური გეგმა შეასრულა

ზუგდიდი. (საკ. კორ.). მთელ რესპუბლიკაში ცნობილია ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორთა წარმატება. ინგირელმა მექანიზატორებმა მარშან გეგმით გათვალისწინებული 1.159 ტონის ნაცვლად მანქანებით მოკრიფეს 1.658 ტონა ჩაის ფოთოლი. მანქანებით ჩაის კრეფას მეურნეობას საშუალება მისცა მარტო ერთი წლის მანძილზე დაეზოგა 92.857 კაცდღე. მოგებამ 216 ათას მანეთს მიაღწია.

განსაკუთრებით კარგად მუშაობს მექანიზატორთა ის რგოლი, რომელსაც სერგო აფხაზავამ ხელმძღვანელობს. რგოლის ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოზე“ ფრიალებს გამარჯვების სიმბოლო — გარდამავალი წითელი დროშა.

29 აგვისტოს მექანიზატორმა სერგო აფხაზავამ წლიური გეგმის შესრულება უპატაკა საშშოლოს. მოკრიფა და მრეწველობას ჩაბარა 66,7 ტონა ნედლეული.

მარტო 29 აგვისტოს გამოცდილმა მექანიზატორმა 720 კილოგრამზე მეტი ხარისხოვანი ნედლეული მოკრიფა. მოკრეფილი ფოთლის 56 პროცენტი პირველი ხარისხისაა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 პროცენტისა.

როგორც ცნობილია, სერგო აფხაზავამ, რეკორდის დამყარების დღეს, როცა ბუჩქებზე ღორთქო დუყნი უხვად იყო შემოსული, მანქანით მოკრიფა 4 ტონა და 30 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. საათში საშუალოდ მოკრიფა 400 კილოგრამი, ხოლო 3,5 წუთში შეასრულა ერთი მკრეფავის დღიური ნორმა.

ამ მიღწევებში გარკვეული წვლილი* მიუძღვით რგოლის წევრებს ბ. კპარაცხელიას, ნ. ბერდაბაძეს, ა. ორმოზაძისს, ნ. ლომიტრიშვილს და მ. ნიაულინას, რომლებიც ყოველდღიურ გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

სერგო აფხაზავის რგოლის ვალდებულებაა სეზონის ბოლომდე დამატებით მოკრიფოს 12 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

სურათზე: სერგო აფხაზავა მოკრეფილი ჩაის ხვავთან.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.

ურთიერთგაგების ვითარებაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა მოლაპარაკება რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან

4 სექტემბერს კრემლში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა მოლაპარაკება რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. შელეპინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი და სხვები.

რუმინეთის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ნიოლაე ჩაუშესკუ, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი პრეზიდიუმის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იონ გეორგე მაურერი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი პრეზიდიუმის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გეორგე აპოსტოლი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი პრეზიდიუმის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ალექსანდრუ ბირლადიანუ, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი პაულ ნიკულესკუ-მიზილი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მანია მანესენსკუ და რუმინეთის სხვა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები.

მოლაპარაკების დროს, რომელმაც ძმური მეგობრობის, ურთიერთგაგებისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა, გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისა და მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის აქტუალურ პრობლემებზე. (საკდესი).

ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა კარლოს რაფაელ როდრიგესს

6 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი ამხ. კარლოს რაფაელ როდრიგესი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევსა და ამხ. კარლოს რაფაელ როდრიგესს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც მეგობრულ, გულითად ვითარებაში ჩაიარა.

საბჭოთა დელეგაცია ულან-ბატორში

ულან-ბატორი, 6 სექტემბერი. (საკდესი). საბჭოთა დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. ი. ვორონოვის მეთაურობით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფება მილიტარისტულ იაპონიაზე გამარჯვების მე-20 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით. დღეს დილით დელეგაცია ულან-ბატორში დაბრუნდა აღმოსავლეთ აიმაკში მოგზაურობიდან, სადაც ორი დღე გაატარა.

დღეს საბჭოთა სტუმრები იყვნენ პურის ქარხანაში, რომელიც საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით აშენდა.

შემდეგ სტუმრებმა დათვალიერეს ავტოსარემონტო ქარხნის მშენებლობა.

დელეგაციის წევრები ეწვივნენ ულან-ბატორის სხვა სამრეწველო საწარმოებსა და ობიექტებსაც.

საბჭოთა სტუმრებს ახლდნენ მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცედენბალი, მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ლუვსანი.

დღეს სსრ კავშირის ელჩმა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ლ. ნ. სოლოვიოვმა დარბაზობა გამართა საბჭოთა დელეგაციის პატივსაცემად. დარბაზობაზე, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ეთარებაში ჩაიარა, იყვნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ი. ცედენბალის მეთაურობით.

რუმინელი სტუმრები სსრ კავშირში

4 სექტემბერს საღამოს რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ნ. ჩაუშესკუს მეთაურობით დაესწრო ფეხბურთის მატჩს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრებ გუნდებს შორის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე.

ცენტრალურ ლოჟაში სტუმრებთან ერთად იისხდნენ ამხანაგები ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნ. შელეპინი, ვ. პ. მჟავანაძე, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი რუმინეთში ფ. ა. უეგალინი.

მოსკოვი, 6 სექტემბერი. (საკდესი). რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ნიკოლაე ჩაუშესკუ, დღეს მოსკოვიდან ვოლგოგრადში გაემგზავრა.

ვოლგოგრადი, 6 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს გმირ ქალაქში სპეციალური თვითმფრინავით ჩამოვიდა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ნიკოლაე ჩაუშესკუს მეთაურობით.

მხურვალე სალამი

მოსკოვში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით 6 სექტემბერს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ანტონინ ნოვოტნი.

ორი ქვეყნის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვო-2-ის აეროპორტში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციას შეხვდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ფ. უსტინოვი, ი. ვ. ანდროპოვი, სხვა საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი.

დელეგაციას შეხვდნენ მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები. აეროდრომზე გამწკრივებული იყო სამი გვარეობის ჯარების საპატიო ყარაული და შესრულდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. მიცემულ იქნა ერთა სალუტის საარტილერიო ზალპები.

შეხვედრაზე იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ანტონინ ნოვოტნიმ მეგობრული სიტყვები წარმოთქვეს. (საკდესი).

ხელები შორს ვიეტნამისაგან!

საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც საბჭოთა კავშირის მშრომელთა სახელით მტკიცე პრეტენზია აცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ახალ აგრესიულ ღონისძიებათა წინააღმდეგ. როგორაცაა: ამერიკის ჯარების რიცხვის გაზრდა ვიეტნამში და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სამოქალაქო ობიექტების ბარბაროსული დაბომბვა. იმპერიალისტთა ეს მოქმედება, რომლის მიზანია თავისუფლებისმოყვარე ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ აგრესიის შემდგომი გაფართოება რაც სულ უფრო დიდ საფრთხეს უქმნის მშვიდობას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ყველა საბჭოთა ადამიანის გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ შექმნილ ვითარებაში განსაკუთრებით საჭიროა, რომ მსოფლიოს პროგრესულმა ძალებმა მხარი დაუჭირონ მებრძოლ ვიეტნამელ ხალხს. ამ საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რომ ზუსტად შესრულდეს ვიეტნამის მებრძოლ ხალხთან სოლიდარობის მეორე საერთაშორისო პროფკავშირული კონფერენციის გადწყვეტილებანი.

საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო გამოხატავს საბჭოთა ადამიანების სურვილს და ყოველმხრივ მორალურ და მატერიალურ დახმარებას უწევდეს და უწევს ვიეტნამელ შრომელებს, ყოველი ღონისძიებით ხელს უწყობს მსოფლიო პროფკავშირული მოძრაობის მთელი პროგრესული ძალების შეკავშირებას ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი საქმის მხარდასაჭერად, ვინაიდან საერთო მოქმედება მშრომელთა უდიდესი ძალა, იმპერიალისტ აგრესორებზე ხალხთა გამარჯვების საიმედო საწინდარია. (საკდესი).

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად

იქმნება საიუბილეო რეპერტუარი

მოსკოვი, 4 სექტემბერი. (**საკდესის კორ.**). სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის სამინისტროებს შეუკვეთით 160-ზე მეტი მწერალი მუშაობს ახალ ახალი დრამატული ნაწარმოებების შექმნისათვის. ამ ნაწარმოებებს ავტორები უძღვნიან თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს თემებს, საბჭოთა ხალხის სახელოვან რევოლუციურ წარსულს.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს შემოქმედებითი კონკურსები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალი დრამატული და მუსიკალური სპექტაკლების შექმნისათვის. დადგენილება ამ კონკურსების შესახებ გასული წლის მარტში მიიღეს სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ და სსრ კავშირის მწერალთა და კომპოზიტორთა კავშირებმა.

ეიური გათვალისწინებს, რომ ძალიან თანამედროვე თემაზე ოპერის, ბალეტისა და მუსიკალური კომედიის ჟანრის ახალი ნაწარმოებების შექმნა და ცალკეულ შემთხვევებში გაიხიხლეს იმ ნაწარმოებებსაც, რომლებიც წინათ არის დაწერილი და დადგმული, მაგრამ ახლა არსებითად გადაკეთდა და მაღალ მხატვრულ დონეზე დაიდგა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის.

სხდომამ დაამტკიცა ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი ახალი სპექტაკლების შექმნისათვის კონკურსების გამარჯვებულთა პრემიების რაოდენობა და ოდენობა.

დრამატურგებისა და დრამატული თეატრების და მოზარდი მაყურებლის თეატრების შემოქმედებითი კოლექტივებისათვის დაწესდა: **სამი პირველი პრემია** — 3000 მანეთი ავტორს, და 3000 მანეთი დადგმელ კოლექტივს; **ხუთი მეორე პრემია** — 2200 მანეთი ავტორს და 2200 მანეთი თეატრის კოლექტივს; **თორმეტი მესამე პრემია** — 1500 მანეთი ავტორს და 1500 მანეთი თეატრის კოლექტივს.

დრამატურგებისთვის და თოჯინების თეატრებისათვის, რომელნიც ამ ნაწარმოებებს დადგამენ, დაწესდა: **ერთი პირველი პრემია** — 1000 მანეთი — ავტორსა და თეატრს; **ერთი მეორე პრემია** 700 მანეთი — ავტორსა და თეატრს; **ორი მესამე პრემია** — 500 მანეთი დრამატურგს და 500 მანეთი თეატრის კოლექტივს.

ახალი მუსიკალური სპექტაკლების შექმნის კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესდა: ოპერისათვის **ერთი პირველი პრემია** 6000 მანეთი კომპოზიტორსა და ლიბრეტისტს და 6000 — თეატრის კოლექტივს; **ერთი მეორე პრემია** — 4.500 მანეთი და **ერთი მესამე პრემია** — 3000 მანეთი.

ბალეტებისათვის: **ერთი პირველი პრემია** — 5000 მანეთი კომპოზიტორსა და ლიბრეტისტს და 5000 მანეთი თეატრის კოლექტივს; **ერთი მეორე პრემია** — 4000 მანეთი და **ერთი მესამე პრემია** — 2500 მანეთი.

ოპერეტებისათვის: **ერთი პირველი პრემია** — 3000 მანეთი კომპოზიტორსა და ლიბრეტისტს და 300 მანეთი თეატრის კოლექტივს; **ერთი მეორე პრემია** — 2000 მანეთი და **ერთი მესამე პრემია** — 1500 მანეთი.

დამტკიცდა აგრეთვე ახალი დრამატული სპექტაკლების შექმნისათვის სრულიად საკავშირო კონკურსის ჟიურის შემადგენლობა სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილის **გ. ი. ვლადიკინის** თავმჯდომარეობით.

მოკავშირე რესპუბლიკებში „გათვალისწინებულია საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სპექტაკლების რესპუბლიკური დათვალიერების მოწყობა. საუკეთესო სპექტაკლები მოსკოვში იქნება ნაჩვენები საიუბილეო წელს.

პარტიული ცხოვრება

პარტიული ქრონიკა

მზადებას მიეძღვნა

საჩხერე. აქ გაიმართა თათბირი პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხებზე.

თათბირს ესწრებოდნენ პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, პროპაგანდისტები, აქტივისტები. მოხსენება გააკეთა საქართველოს კპ საჩხერის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ უ. ჩიკვილაძემ.

თათბირმა დასახა ღონისძიებანი პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის ყოველმხრივ მომზადებისათვის.

კითხვა-პასუხის საღამო

ორჯონიკიძე. პარტიის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტმა მარელისის გრეხილი აეკრძალ ფაბრიკაში მოაწყო კითხვა-პასუხის საღამო და იურიდიული კონსულტაცია.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ პ. მაღრაძემ. შემოსულ კითხვებზე ამომწურავი პასუხი იქნა გაცემული.

ასეთივე ღონისძიება განხორციელდა სოფელ კოცხეში.

პ. ნებიერიძე.

ბჭოზე თევზჭერის ოსტატები...

ახალი ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობის წითელ კუთხეში რიგრიგობით მოდიან კომუნისტები. ბევრს თავისი პროფესიული სამოსი — მეზღვაურის შარვალ-კოსტუმი აცვია. სქემიანი, ცოცხალი და მეგობრულია მათი საუბარი... მოსულთა შორის ბევრია ნაცნობი, ისეთი, რომლებმაც შორეულ ოკეანეთა სივრცეებზე ცურვისას მრავალგზის ბასეულს თავი და სახელმწიფოს დიდძალი თევზეული ჩააბარეს.

პირველი სასიამოვნო შთაბეჭდილება ის არის, რომ აქ წინა ანგარიშგება-არჩევნებთან შედარებით კომუნისტთა სიმრავლეა. ჩანს, საოკეანო თევზჭერის რესპუბლიკური სამმართველოს საწარმოო-ტექნიკური პოტენციალის ზრდის შესაბამისად სამმართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაციაც გაზრდილა. დღეისათვის იგი 40 კომუნისტს ითვლის, შარშან კი მხოლოდ 20-მდე იყო.

ბევრი რამ კარგი და საინტერესო ჰქონდათ სათქმელი მეზღვაურ და მებადურ კომუნისტებს თავიანთ მორიგ საანგარიშო ფორუმზე. რა თქმა უნდა, მომავლის გეგმებზეც უნდა ემსჯელათ და მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანიც არ უნდა მიეჩქმალათ. სწორედ ამ პრინციპით იყო აგებული პარტბიუროს საანგარიშო მოხსენება, რომლითაც პარტბიუროს მდივანი დ. კარტოზია გამოვიდა. თევთ დ. კარტოზია შორეული ცურვის მეზღვაურია და ამჟერად სოკკანონ თევზჭერის სამმართველოს მთავარ ინჟინრად მუშაობს.

— ჩვენი სამმართველო, — ამბობს იგი, — სულ უფრო იზრდება. დღეისათვის მის განკარგულებაშია სამი ტრაულერი — „შოთა რუსთაველი", „ფოთი" და „თბილისი"; რეფრიჟერატორები „არაგვი", „ალაზანი" და ტანკერი „ენგური".

მალე მწყობრში ჩადგება მეოთხე ტრაულერი „კოლხიდა", ხოლო 1970 წლისათვის გვექნება 20 ტრაულერი. სწრაფი ტემპით იზრდება თევზჭერის სახელმწიფო გეგმების მოცულობა. წელს სახელმწიფოს უდა. ჩაბარდეს 140 ათასი ცენტნერი თევზი, რაც ერთნახევარჯერ აღემატება წინა წლების წარმოების დონეს. წინ კიდევ უფრო დიდი გეგმებია — 1970 წლისათვის დამზადდება 1.100 ათასი ცენტნერი თევზი. წარმატებით სრულდება დავალებები. მიმდინარე წლის შვიდი თვის გეგმა შესრულებულია 133 პროცენტით.

ტრაულერი „ფოთი", რომელიც ამას წინათ დაბრუნდა შორეული ოკეანიდან, მალე კურსს აიღებს მორიგ რეისზე, ხოლო ოკეანეში რეწვას ახლაც განაგრძობენ „შოთა რუსთაველი" და „თბილისი".

ამასთან ერთად როგორც მომხსენებელმა, ისე მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ პარტბიუროს ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს პარტიულ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მუშაობაში. მასში პარტორგანიზაციის მთელი ძალები როდი მონაწილეობენ. მაგალითად, მცირეა აგიტატორთა რიცხვი. აქ სულ ოთხი აგიტატორია, ხოლო დარგობრივი ობიექტების მიხედვით გაცილებით მეტი უნდა იყოს. კრებაზე გამოთქვა აზრი, რომ საჭიროა შეიქმნას აგიტკოლექტივი.

კრებაზე გაჩნდა ზოგიერთი კომუნისტი, სწორედ ისინი, რომლებიც პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან პარტიულ დავალებათა შესრულებას. ერთ-ერთი მათგანი — ტ. კაკალეიშვილი მაგრადაც „შეახურეს". იგი ცუდი კონტროლიორი აღმოჩნდა, და იძულებული შეიქნენ კონტროლის ჯგუფის ხელმძღვანელად მის ნაცვლად სხვა კომუნისტი აერჩიათ.

ბევრი, ძალიან ბევრი საზრუნავი აქვთ ახლა კომუნისტებს. სამმართველოს კადრების განყოფილების ინსპექტორმა ნ. ჩაჩავამ თქვა, რომ მეტი ზრუნვა გამოიჩინონ მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებით ბინებით მათი უზრუნველყოფისათვის.

თევზჭერის ფლოტის კაპიტანმა გ. ხორავამ, სამმართველოს უფროსმა მ. ციციშვილმა, საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსმა ი. ალეიხერმა, ტანკერ „ენგურის" მექანიკოსმა ა. ბოჭორიშვილმა ილაპარაკეს იმაზე, რომ საჭიროა ორგანიზებულად მოეწყოს თევზჭერის ფლოტის საგეგმო პროფილაქტიკური შეკეთება, გაძლიერდეს ბრძოლა კომუნისტური შრომის სამატიო სახელისათვის, უფრო პრაქტიკული დახმარება გაეწიოთ რაიონალიზატორ-გამომგონებლებს.

თავის გამოსვლაში „საქთევზრეწვის" ტრესტის მმართველმა პ. საპანაძემ ხაზი გაუსვა მომდინარე წლის გეგმების ვადამდე შესრულების, მომავალი წლის მუშაობის ამოცანებს.

მოკამათეთა უმრავლესობამ მოითხოვა, რომ სამმართველოსთან შეიქმნას პარტიული კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ტრაულერების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, ეამაღლებს ამ ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობას.

კრებამ აირჩია პარტბიუროს ახალი შემადგენლობა და ფოთის საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატები. პარტბიუროს მდივნად არჩეულია სამმართველოს კადრების განყოფილების უფროსი ო. გეგეჭკორი.

კ. კომპახიძე.

ბიურომ იმსჯელა

აბაშა. პარტიის რაიკომის ბიურომ განიხილა სამიჭოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს ანგარიში.

ბიუროზე აღნიშნა, რომ საკოლმეურნეო პარტორგანიზაციამ უკანასკნელ ხანებში ერთგვარად ჯაუმჭობესა მუშაობა, მაგრამ მის საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის. კოლმეურნეობაში ცუდად არის დაყენებული მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდა, ნაკლები ყურადღება ექცევა შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმებას, სუსტია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

ბიურომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი პარტორგანიზაციის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ივ. თოფურია.



სერიოზულ მუშაობას ეწევა საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიკრობიოლოგიური ლაბორატორია. ამ ლაბორატორიის მეცნიერი თანამშრომელია ფ. ყიფშიანი, რომლის მუშაობის შედეგებით კმაყოფილი არიან. იგი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს მესტიის რაიონის მშრომელთა შორის.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ მეცნიერ მუშაკ ფ. ყიფშიანს ლაბორატორიაში მუშაობის დროს.

ფოტო ლ. ჩარკვიანისა.

ახალი სკოლების მშენებლები

სასკოლო მშენებლობის რვა თვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. პირველ სექტემბერს 50 ახალმა სკოლამ დაიწყო მეცადინეობა.

მკითხველები, მშრომელები, თვით მშენებლები სწერენ რედაქციას იმ სიხარულის შესახებ, რასაც ახალი სასკოლო მშენებლობა გვახებებს.

აი რას გვწერს კორესპონდენტი **მ. ჭოფუა ოჩამჩირიდან:**

31 აგვისტოს ნამდვილი დღესასწაული იყო ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჯგერდის რვაწლიანი სკოლაში. მშენებლებმა ბავშვებს ახალი ექთილმოწყობილი შენობა გადასცეს საჩუქრად".

სკოლის დირექტორი და მშობლთა კომიტეტი სპეციალური ბარათით ატყობინებდნენ მცხოვრებლებს—მონაწილეობა მიეღოთ დღესასწაულში, რომელიც ეძღვნებოდა ახალი სასწავლო წლის დაწყებასა და სკოლის ახალი შენობის საექსპლოატაციოდ გადაცემას.

ეს დღესასწაული ოჩამჩირის მე-2 საშუალო სკოლამ გადაიხადა ახალი სასწავლო წლის წინა დღეს. ქალაქისა და რაიონის სამი საშუალო და ერთი რვაწლიანი სკოლა ახალ შენობებში შეუდგა წელს სწავლას. მშენებლობის პროცესშია სხვა საშუალო და დაწყებითი სკოლების შენობები.

აი ასეთი ზეიმით ეგებებიან მშრომელები ... მოსწავლეებ[illegible] ... ბ[illegible] ... ბ[illegible] ... ბ

სოციალისტური ქვეყნების ერთობა მშვიდობის გარანტიაა

პრაღა, 4 სექტემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ სამხედრო აკადემიების, უმაღლესი სამხედრო სასწავლებლებისა და სკოლების კურსდამთავრებულთა მიღებაზე პრაღის კრემლში განაცხადა, რომ სოციალისტური ჩეხოსლოვაკია კვლავაც ძალღონეს არ დაიშურებს, რათა განამტკიცოს სოციალისტური ქვეყნების ერთობა და გააძლიეროს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების გაერთიანებული შეიარაღებული ძალები. ეს ერთობა და სამხედრო ძალა, თქვა მან, მშვიდობის უზრუნველყოფის მთავარ გარანტად მიგვაჩნია. მტკიცე მეგობრული და სამოკავშირეო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან ჩვენთვის ძირითადი გარანტია და დასაყრდენია ჩვენი ქვეყნის არსებობისა და უშიშროებისათვის, ხაზგასმით აღნიშნა მან.

სიტყვით მიმართა რა ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიის ოფიცრებს, ა. ნოვოტნიმ აღნიშნა, რომ მსოფლიო იმპერიალიზმი ისწრაფვის კვლავ აღადგინოს ცივი ომის პოლიტიკა, რაც ჩეხოსლოვაკიელი ხალხისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის შეშფოთებას იწვევს. ვიეტნამელი ხალხის ეგრეთ წოდებული თავისუფლებისათვის ბრძოლის ნიღბით, კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნიღბით, განაცხადა მან, ამერიკის შეერთებული შტატები უკვე რამდენიმე თვეა გააფორებულ ბრძოლას აწარმოებენ ვიეტნამში. ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე ამერიკის ავიაციის თავდასხმები და სამარი მოქმედება სამხრეთვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ მიზნად ისახავენ იმას, რომ განამტკიცონ სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტული რეჟიმი და შეინარჩუნონ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სტრატეგიული პოზიციები აზიის ამ რაიონში.

ამ აგრესიის უფრო ფართო აზრი ის არის, დააშინონ ვიეტნამელი ხალხი და სხვა ხალხები, რომლებიც განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის იბრძვიან, აიძულონ ისინი ცნონ იმპერიალიზმის დიქტატი. ჩვენი ქვეყანა, ისე როგორც სხვა სოციალისტური ქვეყნები, მხარს უჭერენ ვიეტნამელი ხალხის სამართლიან ბრძოლას და ინტერნაციონალურ დახმარებას უწევენ მას.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა შეშფოთება გამოთქვა მოვლენათა განვითარების გამო დასავლეთ გერმანიაში, რომლის ხელმძღვანელი წრეები ისწრაფვიან ხელთ იგდონ ატომური იარაღი და აყენებენ რევანშისტულ მოთხოვნებს. ჩვენ, თქვა მან, უნდა ვიზრუნოთ ჩვენი ქვეყნის დასაცავად მისი უშიშროებისა და ხელშეუხებლობის ინტერესებისათვის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის უშიშროების ინტერესებისათვის.

ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმია, განაცხადა შემდეგ ნოვოტნიმ, მჭიდროდ შეკავშირებულია ხალხთან, მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებასთან, კომუნისტური პარტიის საქმიანობასთან. ჩვენი არმია დაცვის საიმედო გარანტიაა. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მას უნარი შესწევს ჩვენს მეგობრებთან და მოკავშირეებთან ერთად უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი მშენებლობა, ხალხის წუნარი მშვიდობიანი ცხოვრება.

ა. ნოვოტნი შეეხო საშინაო პოლიტიკის საკითხებს და აღნიშნა: ახლა ჩვენი ქვეყანა ემზადება პარტიის XIII ყრილობისათვის. ეს ყრილობა, განაგრძო მან, შეიმუშავებს და დააკონკრეტებს სოციალისტური საზოგადოების შემდგომი განვითარების ხაზს, რომელიც პარტიის XII ყრილობამ მიიღო. ყრილობისათვის მთელი მზადება, უეჭველია, გახდება პეროიდი, როცა მშრომელები ფართოდ მიიღებენ მონაწილეობას ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების შემდგომი განვითარების მთავარი საკითხების გადაწყვეტაში.

ა. ნოვოტნიმ უდავო წარმატებითი შედეგები უწოდა მიმდინარე წლის რესპუბლიკის მრეწველობის საქმიანობას. წლის პირველი ნახევრის გეგმა, თქვა მან, შესრულებულია 102,4 პროცენტით. იმედი გაჩქენ, რომ წლის განმავლობაში გამოშვებული იქნება თითქმის 5 მილიარდი კრონის ზეგეგმითი უშიშროების პროდუქცია.

შეთანხმება საგჭოთა მანქანების მიწოდების შესახებ

სოფია, 4 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ სრულიად საკავშირო გაერთიანება „მანქან-იქსპორტისა“ და გულგარეთის სავაჭრო საწარმო „მანქან-იმპორტის“ წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომ სსრ კავშირში შეიტანენ სხვადასხვა სამშენებლო მანქანასა და საავტო-სატრანსპორტო მოწყობილობას.

როგორც გულგარეთის დეკეშათა სააგენტო იუწყება, საბჭოთა კავშირი მანქანებს მიაწოდის გულგარეთს 1966 წელს.

„ომი და მშვიდობა“ ვენეციაში

ვენეცია, 6 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორ.). აქ 26-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე კონკურსგარეშე უჩვენეს საბჭოთა ფილმი „ომი და მშვიდობა“. ფილმმა, რომელიც დადგა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. ბონდარჩუკმა და რომელმაც მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე პირველი პრემია მიიღო, მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ფილმი გუშინ სამჯერ უჩვენეს ვენეციის კინოფესტივალის ეკრანებზე. მაყურებელმა გულთბილად მიიღო კინოსურათი. ფილმის დემონსტრაციის დროს დარბაზში არაერთხელ გაისმა ტაში.

დარბაზში მყოფმა თვალსაჩინო კინომოღვაწეებმა ლუკინო ვისკონტიმ, ანი ერარდომ, ჟან სორელმა და სხვა თვალსაჩინო კინომოღვაწეებმა გულთბილად მიიღეს ს. ბონდარჩუკს დიდი შემოქმედებითი წარმატება.

დღეს ფესტივალი მთავრდება.

ბაზრობის წინ

ლაიფციგი, 4 სექტემბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ს. გერმანი და კ. სავინი გვატყობინებენ: უძველესი ქალაქი ლაიფციგი მომზადებული ხვდება ტრადიციულ სავაჭრო ფორუმს. აქ 5-12 სექტემბერს ეწყობა ლაიფციგის 1965 წლის საერთაშორისო საშემოდგომო ბაზრობა. ბაზრობაში მონაწილეობს სამოცი ქვეყნის 6500-მდე ფირმა და საწარმო, რომლებიც წარმოადგენენ ფართო მოხმარების საქონელს. მოსალოდნელია, რომ ბაზრობაზე მისი მუშაობის დღეებში ჩამოვა ოთხმოცი ახალ-მწყობოს 250 ათასამდე წარმომადგენელი. ევროპის აზიის, აფრიკისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო წრეები დიდ ინტერესს იჩენენ საშემოდგომო ბაზრობისადმი, რაც თვალნათლივ მოწმობს, რომ სულ უფრო იზრდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო ავტორიტეტი.

ეს წელიწადი საიუბილეოა ლაიფციგისათვის და საშემოდგმო ბაზრობა ეწყობა დევიზით: „ლაიფციგის ბაზრობის 800 წლისთავი — თავისუფალი მსოფლიო ვაჭრობისა და ტექნიკური პროგრესისათვის“. ბაზრობის პავილიონები გაიხსნება 5 სექტემბერს. უკვე გაიმართა პირველი კომერციული მოლაპარაკებანი, მთელი რიგი ქვეყნების გამოფენათა დირექციებმა მოაწყეს პირველი პრეს-კონფერენციები.

დღეს პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის გამოფენის დირექტორი ვ. პ. ზაპოროეცი, რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ექვსმა გაერთიანებამ ლაიფციგში გამოგზავნა ხუთი ათასზე მეტი ექსპონატი.

შეეხო რა საბჭოთა კავშირის საქონლის ექსპოზიციას, მან კერძოდ, აღნიშნა, რომ საბჭოთა მრეწველობამ ლაიფციგში გამოფინა ისეთი სიახლენი, როგორიცაა ლავანიანი და ნიტრონიანი ქსოვილები, განსაკუთრებული დამუშავების ბეწვეული, მაღვიძარა-ელექტროსაათები და ბევრი სხვა საქონელი.

საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის გაერთიანებათა წარმომადგენლებს, რომლებიც ჩამოსულნი

არიან „ლეგ მოლაპარაკება“ აწარმოონ საზღვარგარეთის ტელეფონთა საქალაქთაშორისო ავტომატურ სადგურებთან, „ავტომატურ ზაპოროეცმა. ბაზრობაზე ჩვენი მთავარი მიზანია, ხაზგასმით აღნიშნა მან, ხელი შეუწყოთ უველა ქვეყნის ვაჭრობის გაფართოებასა და მეგობრული და კულტურული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

კოძო სასაკის განცხადება

ტოკიო, 6 სექტემბერი. (საკდესი). იაპონიის სოციალისტურმა პარტიამ მასობრივი ბრძოლა უნდა გაშალოს იაპონია-სამხრეთ კორეის ურთიერთობის ეგრეთწოდებული „ნორმალიზაციის“ შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ. ვიეტნამის ომის წინააღმდეგ, იაპონიაში ახლანდელი ეკონომიური კრიზისის გადალახვისათვის, განაცხადა იაპონიის სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ კოძო სასაკიმ.

სასაკიმ, რომელიც გამოვიდა ნაგოიაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე, განაცხადა, რომ პარტიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მთელი ძალ-ღონე მოახმაროს, იმას, რომ ჩაფუშოს სამხრეთ კორეასთან ხელშეკრულების რატიფიკაცია, რომელიც იაპონიის მთავრობას ოქტომბერში აქვს გათვალისწინებული.

თუ გავითვალისწინებთ ამ ხელშეკრულების წინააღმდეგ იაპონელი ხალხის სპორტსტატო მოძრაობის გაქანებას, თქვა იაპონიის სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ, აგრეთვე სამხრეთ კორეაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, როგორც ჩანს, ჩვენს ქვეყანაში შეუძლებელი იქნება სამხრეთ კორეასთან მოლაპარაკების ძალად დამტკიცება.

სასაკიმ განაცხადა, რომ ოქტომბერში პარლამენტის სესიაზე სოციალისტური პარტია მოითხოვს სატოს მთავრობის გადადგომას.

პარტიზანული მოძრაობა პერუში

პაპანა, 4 სექტემბერი. (საკდესი). პერუს 24 დეპარტამენტისაგან ცხრაში პარტიზანები მოქმედებენ, ალიანა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს პარტია „ოდრისტთა ეროვნული კავშირის“ ლიდერმა გენერალმა მახუელ ოდრიამ. „არ უნდა ვიფიქროთ, რომ არმია სწრაფად და იოლად მოიღებს ბოლოს პარტიზანებს და მოსპობს მათ“, — აღნიშნა გენერალმა.

ადგილობრივი გაზეთები იუწყებიან, რომ აიაკუჩოსა და პუკალპაში სერიოზული ბრძოლები მოხდა პარტიზანებსა და მთავრობის ჯარებს შორის. გაზეთებს არ მოუყავთ ცნობები დანაკარგის შესახებ.

როგორც პრენსა ლატინას საგენტოს კორესპონდენტი იტყობინება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად პერუს მთავრობა მიმართავს მასობრივ რეპრესიებს. ხელისუფლებმა დააპატიმრეს ცნობილი პარტიზანების ოჯახები. განზრახული აქვთ მძიელად გამოიყენონ ისინი, რათა აიძულონ პარტიზანები დანებდნენ.

მდგომარეობა ქაშმირში

დელი, 6 სექტემბერი. (საკდესი). ინდოეთის თავდაცვის მინისტრმა ი. ჩავანმა დღეს პარლამენტში განაცხადა, რომ „ინდოეთის ჯარებმა გადალახეს ინდოეთისა და პაკისტანის სახელმწიფო საზღვარი პენჯაბში, რათა პაკისტანმა ვერ გახსნას ახალი ფრონტი“. პაკისტანის საზღვარი გადალახულია პაკისტანის ქალაქ ლაპორის რაიონში. როგორც მინისტრმა თქვა, ამ ოპერაციის მიზანია „დაიცვან ინდოეთის საზღვარი“.

ლონდონი, 6 სექტემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო ფუწყება, რომ პაკისტანში შემოღებულია საგანგებო წესები, ეს გადაწყვეტილება პაკისტანის მთავრობამ მიიღო ძას შემდეგ, რაც პაკისტანის დედაქალაქ რავალპინდში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ინდოეთის ჯარებმა გადალახეს სახელმწიფო საზღვარი და გაემართნენ ლაპორისაკენ.

რეიტერის სააგენტო, იმოწმებს რა ასოშიეიტედ პრეს ოფ პაკისტანის სააგენტოს, იუწყება, რომ ინდოეთის ჯარების „დაბომბეს“ ლაპორის რაიონი.

მოგვიანებით პაკისტანს ოფიციალურმა წარმომადგენელმა რაფალპინდში განაცხადა, რომ „ინდოეთის ჯარების შეტევა პაკისტანში შეჩერებულია“.

ფეიძმანა ერაყის ახალი მთავრობა

ბაღდადი, 6 სექტემბერი. (საკდესი). ბაღდადის რადიო იუწყება, რომ დღეს გადადგა ერაყის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ტაჰერ იაჰი.

ახალი მთავრობის შექმნა დაევალა ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალს ალბდულ რაზაკ არეფს.

ბაღდადი, 6 სექტემბერი. (საკდესი). დღეს პრემიერ-მინისტრმა ალბდელ რაზაკ არეფმა შექმნა ერაყის ახალი მთავრობა, იუწყება ბაღდადის რადიო. რადიოს ცნობაში აღნიშნულია, რომ მინისტრთა ახალი კაბინეტის შექმნა არეფს დაევალა ერაყის პრეზიდენტმა ალბდელ სალამ არეფმა.

უკმაყოფილება იზრდება

ამერიკის შეერთებულ შტატებში იზრდება უკმაყოფილება სამხრეთ ვიეტნამში ბინძური ომის წარმოების გამო. სულ უფრო მძლავრად გაისმის ამერიკული საზოგადოებრიობის პროტესტის ხმები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ჯარების გაგზავნის წინააღმდეგ. ვაშინგტონში გაიმართა მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები ლოზუნგით — „შეწყდეს ომი!“. კალიფორნიაში მშვიდობის მომხრენი შეეცადნენ შეეჩერებინათ სამხედრო ეშელონები, რომლებსაც სამხრეთ ვიეტნამში გასაგზავნად ამზადებდნენ.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ, თუ როგორ უსწორდება პოლიცია „კაპიტოლზე მარშის“ ერთ-ერთ მონაწილეს. ეს მარში ამას წინათ მოეწყო ვაშინგტონში. მარშის ათასი მონაწილიდან, რომლებიც მოითხოვდნენ სამხრეთ ვიეტნამში ომის შეწყვეტას, 260 — პოლიციამ დააპატიმრა.

ფოტო „ი. ს. ნიუზ ენდ უორლდ რიპორტ“-აასისა.

მექსიკის კომუნისტური პარტიის პროგრამა

მეხიკო, 6 სექტემბერი. (საკდესი), გაზეთმა „ვოს დე მეხიკომ“ გამოაქვეყნა მექსიკის კომუნისტური პარტიის პროგრამა, რომელშიც შეფასებულია მექსიკის სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა და შემუშავებულია ძირითადი პრობლემების გადაჭრის ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მექსიკის სოციალურ განვითარებასა და პროგრესს.

მექსიკის კომუნისტური პარტიის პროგრამა, ხაზგასმით აღნიშნულია გაზეთ „ვოს დე მეხიკოს“ მოწინავე სტატიაში, — მექსიკის საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის პროგრამა, იმ სიძნელეთა გადალახვის პროგრამაა, რომლებიც ხელს უშლიან მექსიკის ეკონომიურ და სოციალურ განვითარებას, და ბოლოს, ეს არის დემოკრატიული რევოლუციის ეროვნული განთავისუფლების და სოციალისტურ საზოგადოებაში გადასვლის პროგრამა.

კომუნისტური პარტიის პროგრამაში, აღნიშნავს შემდეგ გაზეთი, ჩამოყალიბებულია მუშათა კლასისა და მთელი ხალხის ამოცანები ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის ამ ეტაპზე.

პარტიის უახლოესი მიზნები და ამოცანებია მექსიკის სრული განთავისუფლება იმპერიალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური დამოკიდებულებისაგან, პოლიტიკური წყობილების დემოკრატიზაცია, მონოპოლისტური დაჯგუფებების მოძალობის ლიკვიდაცია და მსხვილი მიწის საკუთრების მოსპობა.

ი. რატომ შეიძლება, აღნიშნავს „ვოს დე მეხიკო“, რომ ეს პროგრამა გახდეს მასებისა და მთელი მექსიკელი ხალხის ანტიიმპერიალისტური და დემოკრატიული მოქმედების ერთობის საფუძველი.

კომუნისტური პარტიის პროგრამაში ჩამოყალიბებულია აგრეთვე რევოლუციური ბრძოლის მომავალი მიზნები, როგორიცაა ისეთი საზოგადოების შექმნა, სადაც არ იქნებიან ექსპლოატატორები და ექსპლოატირებულნი, საზოგადოებისა, რომელშიც მთლიანად გამომქმედებდა ადამიანის ყველა შესაძლებლობა, საზოგადოებისა, რომელსაც ესწრაფვიან მექსიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე არიან განლაგებული, მნიშვნელოვნად დაკლდათ ლეგიონერიელობა.

გამოხმაურება, რომელიც გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ექსპერტთა ჯგუფის მოხსენებამ, სადაც ხაზგასმით აღნიშნულია, რომ იარაღის წარმოების შემცირება საფრთხეს არ შეუქმნის ამერიკის ეკონომიკას, ავრეთვე მოწმობს, თუ რამდენად გაელვნიანი არიან ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალები, რომლებიც მხარს უჭერენ გამალებული შეიარაღების გაფართოებას.

ინპოლისი გაზეთი „სანეი ნიმბუნი“ გამოთქვამს აზრს, რომ, როგორც ჩანს, იაპონიის მთავრობას სურს გამოიჩინოს ინიციატივა, რათა ხელი შეიწყოს ვიეტნამის საკითხის მოწესრიგებას.

ცნობებში ქაშმირის შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ საზღვარგარეთის გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საქმე უკვე რაკეტების გამოყენებამდე მივიდა და აღნიშნავენ, რომ ეს კონფლიქტი მეტად საშიშია.

დომინგოს რესპუბლიკის მდგომარეობის შესახებ გამოქვეყნებულ ცნობებში მთელი რიგი გაზეთები აღნიშნავენ, რომ იქ კვლავ დაძაბული მდგომარეობაა, რომელიც, კერძოდ, გამოწვეულია იმით, რომ დემოკრატიულ საწყისებზე მოწესრიგების მოწინააღმდეგენი ხელს უშლიან მთავრობას თავის კონტროლს დაუქვემდებაროს შეიარაღებული ძალები.

კოლონეთის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ცირანკევიჩის მომავალ ოფიციალურ ვიზიტს საფრანგეთში. გაზეთი „ულლნეე ვოლნოსტი“ სარედაქციო სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პოლონეთისა და საფრანგეთის ურთიერთობა კეთილად ვითარდება. (საკდესი).

ოქროს ფვიმა

ალბათ მკითხველს აინტერესებს, სახელდობრ რომელი ქვეყნის ნიმუშებმა დააგროვეს ოქროს მედლის მიღების ბალები. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს. უკრაინის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილმა ღვინის, შამპანურისა და კონიაკების ცხრა ნიმუშმა დააგროვა ოქროს ბალები, მოლდავეთიდან — 5 ნიმუშმა, სომხეთიდან ოქროს მედლის მიღების უფლება მოიპოვა ღვინოებმა „ველტაშენმა“, „არევაშატმა“ და „არევიკიმ“. ამერიკის შეერთებული შტატებიდან „გრეიტ ვეესტერმა“, პორტუგალიიდან „შავდურმა“, საფრანგეთიდან „ბლომ ანუმ“. ოქროს პრიზიორები არიან სხვა ქვეყნებიდანაც.

მსოფლიო შეჯიბრების პრიზიორთა შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ყურძნის, შამპანურ ღვინოებსა და კონიაკებს.

19 ოქროს მედლის მიღების ბალები დააგროვეს ჩვენმა ნიმუშებმა. მათ შორის ოქროს მედლის მიღების უფლება მოიპოვეს ქართული ღვინოების შემდეგმა ნიმუშებმა: „უსახელაური“ № 21, „ხიხვი“, „ტიბაანი“ № 12, „თელიანი“ № 2, „ნაფარეული“ № 28, „ქინძმარაული“ № 22, „საამო“ № 30, შამპანურის ოთხმა ნიმუშმა, კონიაკებიდან კი ოქროს პრიზიორები გახდნენ „საიუბილეო“, „გრემი“, „ენისელი“ „თბილისი“ და „ვარციხე“.

მსოფლიოს კონკურსი კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდება.

ი. გეჟაშვილი.

• • •

გუშინ, 6 სექტემბერს სტუმართა დიდი ჯგუფი ეწვია თბილისის № 1 ღვინის ქარხანას, მათ დიდი ყურადღებით დაათვალიერეს ჩამოსასხმელი საამქრო, საერო და სამარკო ღვინოების საამქრო. განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია ღვინოების უნიკალურმა კოლექციამ, რომელიც არამარტო საწარმოს კოლექტივის სიამაყეა, არამედ საქართველოს ყველა მეღვინის სიამაყეც არის. სტუმრებს ახსნა-განმარტებებს აძლევდნენ ქარხნის დირექტორი ნ. მ. ეფენტი და მთავარი ინჟინერი გ. დ. კანდელაკი.

ნაშუადღევს უკრაინისა და უზბეკეთის მეღვინეობის მრეწველობის მუშაკთა ჯგუფი სამტრესტის მმართველის დ. რომელაშვილის თანხლებით ეწვია თბილისის კონიაკის ქარხანას. საწარმოს სტუმრები მოხიბლა წარმოების მაღალი კულტურით, ჩინებული ტექნიკური აღჭურვილობით, თავისი მშვენიერი გარეგნული გაფორმებით და, რა თქმა უნდა, იმით, რომ ეს ქარხანა აწარმოებს ისეთ დიდებულ კონიაკებს, როგორიცაა „ვარციხე“, „გრემი“, „ენისელი“, „თბილისი“, „საიუბილეო“, რომლებმაც კონკურსზე უკვე მოიპოვეს მაქსიმალური ქულები. (საკდესი).

• • •

სურათზე: ქართული ღვინოები „წინანდალი“, „ქინძმარაული“, „საამო“, „ნაფარეული“, „ტიბაანი“, „უსახელაური“, „თელიანი“, და „საბჭოთა შამპანური“ (თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნის პროდუქცია). რომლებმაც დააგროვეს ოქროს მედლის მისაღებად საჭირო ბალები.

I MEЖДУНАРОДНЫЙ КОНКУРС ВИН СССР
ТБИЛИСИ TBILISSI 1965
CONCOURS INTERNATIONAL DES VINS URSS

ყურძნისა და შამპანური ღვინოებისა და კონიაკების საერთაშორისო კონკურსი

ევროპული ქვეყნებში

ფართო ეზოში ელვარებენ ნაირნაირი ფერის ცოცხალი ყვავილები. ყვავილების გარემოცვაში მოთავსებულ შადრევნებს კი მრავალ ტოტად გაუშლია ამომავალი წყლის ჭავლები, რაც კიდევ უფრო ლამაზ იერს აძლევს თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნის ტერიტორიას... სტუმართმოყვარე კახეთში ერთი დღის მოგზაურობის შემდეგ გუშინ აქ თავი მოიყარეს ყურძნის და შამპანური ღვინოებისა და კონიაკების მსოფლიო კონკურსის მონაწილეებმა, გამოჩენილმა სპეციალისტებმა, სტუმრებმა და მასპინძლებმა.

აქ შეეხვედით იუგოსლავიის წარმომადგენელს ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორს ჯორჯ რაფენპერნიჩს, რომელმაც კმაყოფილება გამოთქვა ქართული ღვინოებისა და კონიაკების მაღალი ღირსების გამო, იუგოსლავიის სერბიის რაიონის ღვინოები შეადარა ქართულ ღვინოებს და გვითხრა:

— იუგოსლავიაში სერბიის რაიონი ერთ-ერთი წამყვანია მეღვინეობის წარმოებაში. იქაური ღვინოები თავისი არომატით და სხვა თვისებებით დიდად წაგაგავს ქართულ ღვინოებს. ჩვენ გვაქვს ქართველ მხატვართა მიერ შესრულებული ძველი ნამუშევრები, რომლებიც ასახავენ ყურძნისა და ღვინოებისადმი ხალხის პატივისცემას.

უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ვაზის კულტურა პირველად საქართველოდან არის შემოტანილი.

რამდენად სარწმუნოა ამ სპეციალისტის აზრი, ეს მკვლევარებისათვის მიგვინდვია. ერთი კი ცხადია, ამ ორი ქვეყნის ღვინოების მგავსება, ქართველ მხატვართა მიერ შესრულებული ძველი ნიმუშებები, რომლებიც ასახავენ ყურძნისა და ღვინოებისადმი ხალხის პატივისცემას.

სადეგუსტაციო № 2 დარბაზში სტუმართა რიგებს შეემატა სსრ კავშირის სავაჭრო პალატის წარმომადგენელი ა. საბი. საუბრის დროს ა. საგიმ გვითხრა: — ასეთი მსოფლიო მნიშვნელობის კონკურსები ერთ-ერთი საშუალებაა სხვადასხვა ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობისათვის. სწორედ ასეთ შეჯიბრებებზე ვიგებთ ალიუსებსაც და მინუსებსაც, რაც დიდად გვეხმარება მუშაობაში. ჩვენი ქვეყნის ღვინოებმა, შამპანურებმა და კონიაკებმა დიდი ხანია მსოფლიო აღიარება მოიპოვეს. ამიტომ არის, რომ მათზე დიდი მოთხოვნილებაა. უკანასკნელ ხანებში საბჭოთა საწარმოებში შესამჩნევად გაუმჯობესდა ღვინოებისა და საერთოდ ყურძნის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესები. როგორც ცნობილია, ჩვენმა სპეციალისტებმა მიაღწიეს მოკლე ვადაში შამპანურის დამზადების ახალ ტექნოლოგიას, რაც საფრანგეთს შამპანურის მრეწველობაში არ გაჩენია. პრიორიტეტი ამ მხრივ საბჭოთა კავშირს ეკუთვნის.

დეგუსტაციის მეხუთე დღეს ცნობილი გახდა, რომ კონკურსზე წარმოდგენილმა 113 ღვინის, შამპანურისა და კონიაკის ნიმუშებმა მოაგროვეს ოქროს მედლების მიღების. საერო ბალები, ვერცხლისა — 206 ნიმუშმა, ბრინჯაოსი — 36 ნიმუშმა.

ოქროს მედლის მიღების ბალები. ამ ბალებს ბევრი ფერადოვანი ფერადოვანი ... ...

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები •

სტუდენტი ყამირელები ეინ დაბრუნდნენ

ორთვენახევარი დაჰყვეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ყამირ მიწებზე.

წლევანდელ ტრადიციულ ლაშქრობაში 422 უნივერსიტეტელი მონაწილეობდა. მათი გაძრწყე მაძიებელთ ჩრდილოეთი ყაზახეთის ოლქის ლენინის რაიონში მრავალი საბინაო, სამრეწველო და კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტი აიგო. ყამირის ვრცელ ტერიტორიას შეემატა ბევრი დასახლებული უბანი, რომლებშიც ხვალ-ზეგ სიცოცხლე გაჩაღდება.

მშენებლობათა პარალელურად ქართველი სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ საშეფო საქმიანობაში — თივის თიბვასა თუ მოსავლის აღებაში, სკოლებისა თუ საცხოვრებელი ბინების შეკეთებაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 40 წარმომადგენელი ენერგიულად მუშაობდა ურალგაზნავთობმშენებლობის ობიექტებზე და მშენებლობის მრავალთანამიანი კოლექტივის მადლობა დაიმსახურა.

როცა საერთო შრომის შეჯამების დრო დადგა, ოლქში წარგზავნილი 12 უმაღლესი სასწავლებლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებმა მესამე საპატიო ადგილი დაიკავეს.

ყამირზე გაჩაღებული შრომის ავანგარდში იდგნენ თბილისის უნივერსიტეტის დამკვერლური ბრიგადები. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მომავლმა ეკონომისტებმა და იურისტებმა.

თბილისში გამომგზავრების წინ ოლქის მშრომელებმა ქართველ სტუდენტებს გულითადი შეხვედრა-გაცილება მოუწყეს. გამცილებელთა შორის მრავლად იყვნენ ის პიონერები, რომლებიც შედ საბჭოთა მეურნეობაში გახსნილი პიონერული ბანაკების დამსვენებლები იყვნენ და ქართველი სტუდენტების ზედამხედველობით შინაარსიანად გაატარეს პიონერული ზაფხული.

იავლენსკის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტებს შრომაში განსაკუთრებული შედეგებისათვის სამახსოვრო ალმი გადასცა.

რაზმებს შორის გაჩაღებული შეჯიბრების გარდამავალი დროშა ეკონომისტების ბრიგადის ხელმძღვანელებმა ჩაიბარეს.

რამდენიმე დღის წინათ კი ალმებით, ლოზუნგებით, ტრანსპარანტებით მორთულმა მატარებელმა 422 პატრიოტი სამშობლოში ჩამოიყვანა.

მშობლიურ რ მ ა კოლექტივმა გულთბილი შეხვედრა მოეწყო თავის წარგზავნილთ, იმათ, ვინც ღირსეულად დაიცვა უნივერსიტეტისა და რესპუბლიკის სახელი.

გ. შეყილაძე.

• • •

სურათზე: მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტთა ჯგუფი (მარცხნიდან) გ. გურული, ვ. შავდათუაშვილი, ვ. ხაჩიძე და რაზმის ხელმძღვანელი ღ. არველაძე სამახსოვრო ალმით თბილისის რკინიგზის ვაგზლის ბაქანზე.

ფოტო ავტორისა.

მოკლედ

საჩხერის რაიონის სოფელ ჭალოვანის 250 ვაჟკაცმა დასდო თავი სამშობლოს დასაცავად სამამულო ომში. მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად სასოფლო კლუბის ეზოში მოეწყო შინმოუსვლელთა სტენდი. ამასთან დაკავშირებით გაიმართა საღამო.

ვლ. შუბითიძე.

სოფელ აგარის (ახალციხის რაიონი) საკოლმეურნეო კლუბთან არსებულმა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივმა მოსავლის აღების დამთავრებასთან დაკავშირებით სასოფლო კლუბში კონცერტი გამართა. სოფლის მშრომელებმა მოისმინეს ქართული ხალხური სიმღერები, ნახეს სკეტჩები.

მ. დევაძე.

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის ახალგაზრდობა ფართოდ გამოეხმაურა ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულ მოძრაობას საბჭოთა ხალხის საბრძოლო და შრომითი დიდების განვლილი გზების შესასწავლად.

შეიქმნა საბრძოლო დიდების გზებით საკავშირო ტურისტული ლაშქრობის საქალაქო შტაბი. ამ დღეებში ჟუთაისის ახალგაზრდობის 50-კაციანი ჯგუფი გაემგზავრა კავკასიონის დაცვის ადგილებში მარშრუტით: ჟუთაისი-სოხუმი-მერხეული-მარუხი-ქლუხორი-ჟუთაისი.

ი. ი. კაპეჭვივაძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის უროლოგიის ინსტიტუტის კლინიკური განყოფილების გამგემ ილია ივლიანეს-ძე კაპეტივაძემ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის გაერთიანებული საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

„შარდკენჭოვანი დაავადების ეტიოლოგიისა და პათოგენეზის საკითხებისათვის აჭარაში“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ი. ი. კაპეტივაძისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

ჩვენი ფალავნების ტრიუმფი

ოქროს მაძიებელთა განწყობილება ფინიშთან სხვადასხვაგვარი იყო. ზოგმა წაიბორძიკა და მაყურებლის როლში მოგვეელინა, ზოგს კი ბედმა გაუღიმა და დიდების კვარცხლბეკის საფეხურებზე ოცნებობდა. დიახ, მეტად მომქანცველი აღმოჩნდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატის გასული ორი დღე. ამა წარმოიდგინეთ — დღეში ორი შეხვედრა. რამდენი ნებისყოფა, გამძლეობა და სიმტკიცე სჭირდება თვითეულ მოჭიდავეს!

და აი ჩემპიონატის ფინალი — თბილისი, 5 სექტემბერი, სპორტის სასახლე.

ის ფაქტი, რომ ოთხივე წონითს კატეგორიაში საქართველოდან ხუთი ფინალისტი იყო, თავისთავად დიდ წარმატებას ნიშნავდა. მაგრამ სულ სხვა ფასი აქვს ჩემპიონატებში, ოქროს და, ბუნებრივია, ყურადღებაც სწორედ აქეთკენ იყო გამახვილებული.

სანამ მსჯავები მაგიდას მიუსხდებოდნენ, მეტოქეებს ხალიჩაზე გამოიძახებდნენ და წამბრძოლებს ჩართავდნენ, საუბარი გვქონდა მსოფლიოში აღიარებულ ფალავანთან, სპორტის დამსახურებულ ოსტატ **ვ. ბალავაძესთან,** გვაინტერესებდა მისი აზრი ოქროს მედლების ბედზე.

— რასაკვირველია, — თქვა მან, — ფინალში ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ ვფიქრობ ორი ოქრო ჩვენია. ჩანს, პირველ რიგში მას მხედველობაში გ. საღარაძე და შ. ლომაძე ჰყავდა.

ამასობაში ხალიჩაზე მეტოქეთა პირველი წყვილი გამოჩნდა. ეს იყო უმჩატესი წონის ორი მოჭიდავე — ორკონიკაძელი **ი. კიშიევი** და კი